საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო რედაქციები და კომისიები

ქართული ენციკლოპედიის ირ.აბაშიძის სახ. მთავარი სამეცნიერო რედაქცია (მთავარი რედაქტორი პოლიტ. მეცნ. დოქტ. ზ.აბაშიძე).

დამყარდა ურთიერთობა „ენციკლოპედია ბრიტანიკასთან“. მიმდინარეობს თანამშრომლობის ფორმის განხილვა. კერძოდ, შერჩეულია „ბრიტანიკას“ მიერ 2007 წელს გამოცემული ორი ენციკლოპედიური ლექსიკონი, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედონ ანალოგიურ ქართულ გამოცემებს, მათ შორის უნივერსალურ ენციკლოპედიას (2 ტომი). აღნიშნულ ენციკლოპედიებზე მუშაობა დაიწყება 2008 წელს.

დასრულდა მუშაობა და გამოსაცემად მომზადდა ენციკლოპედია „ქართული ენა“. აღნიშნული უნიკალური ნაშრომის მომზადებისას რედაქცია თანამშრომლობდა არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტთან. ენციკლოპედიის გამოსაცემად მიმდინარეობს მუშაობა სპონსორის მოსაძიებლად.

დასრულდა მუშაობა და გამოსაცემად მომზადდა ენციკლოპედია „ქართული დამწერლობა“, რომელიც ფართო მკითხველისათვის, მეტწილად მოზარდებისათვის, არის განკუთვნილი. წიგნის შემდგენელია ქ-ნი ელენე მაჭავარიანი.

დასრულდა მუშაობა ენციკლოპედიურ ლექსიკონზე „თბილისი: მოედნები, გამზირები, ქუჩები“ (გამოცემას აფინანსებს ქ.თბილისის მერია). რედაქციამ გაითვალისწინა ქ.თბილისის მერიის წინადადებები წიგნის ფორმასა და ფოტოილუსტრაციებთან დაკავშირებით, რის გამოც ნაშრომი ნაწილობრივ შეიცვალა – შეირჩა ახა-

ლი ფოტოები, გადახარისხდა რუკები და სხვ. მზადდება წიგნის ელექტრონული ვერსია.

მიმდინარეობდა მუშაობა ენციკლოპედია „საქართველოს“ მეორე და მესამე ტომებზე და ენციკლოპედიურ ცნობარზე „საქართველოს გეოგრაფიული სახელწოდებები“.

მომზადდა მასალა „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის“ მრავალტომეულის მესამე ტომისათვის – „კახეთის რეგიონი“. კომპიუტერში შეტანილია ტექსტები და რედაქტირებული სტატიების მნიშვნელოვანი ნაწილი. წიგნის გამოსაცემად შესაბამისი დოკუმენტაცია წარდგენილია საქართველოს სამეცნიერო ეროვნულ ფონდში.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან პრინციპული შეთანხმების საფუძველზე რედაქციამ მუშაობა დაიწყო ენციკლოპედიაზე „სამხედრო საქმე“. გამოცემის მომზადებისა და დაფინანსების შესახებ 2008 წლის იანვარში სამინისტროსთან გაფორმდება ხელშეკრულება. აღნიშნული გამოცემის მომზადების ვადაა 2009 წლის აგვისტო.

ქრისტიანული თეოლოგიისა და რელიგიის ისტორიის შემსწავლელმა კომისიამ (თავმჯდომარე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II) გამოსაცემად მოამზადა ყოველწლიური კრებული „ქართული ეკლესიის ისტორიის საკითხები“. მიმდინარეობს „ქართული მართლმადიდებლური ენციკლოპედიისათვის“ მასალების შეგროვება და რედაქტირება.

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა უწმიდესმა ალექსი II-მ კომისიის თავჯდომარის მოადგილე ზაალ აბაშიძე სასულიერო განათლებაში შეტანილი წვლილისათვის დააჯილდოვა წმინდა მაკარი მოსკოველის III ხარისხის ორდენით.

საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია (თავმჯდომარე აკად. რ.მეტრეველი) აგრძელებდა მუშაობას

„ქართლის ცხოვრების“ ტექსტის კრიტიკულად დადგენაზე და გამოსაცემად მომზადებაზე. მიკვლეულ იქნა „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერის ფრაგმენტი, რომელიც XVI საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება. ფრაგმენტის ტექსტი წარმოადგენს „ქართლის ცხოვრებაში“ შემავალი თხზულების „ჟამთააღმწერლის“ მატიანის ფრაგმენტს და გვაწვდის ახალ მასალას XIII საუკუნის საქართველოს შესახებ.

მიმდინარეობდა მუშაობა „ქართლის ცხოვრებაში შემავალი თხზულების ტექსტის – „ლაშა-გიორგის დროინდელი ისტორიკოსი“ – შესწავლაზე. თხზულება ძველი ხელნაწერებიდან დაცულია ანასეულ და ჭალაშვილისეულ ხელნაწერებში. ჭალაშვილისეულ ხელნაწერში ეს ტექსტი ნაკლულია. წყაროთმცოდნეობით-ტექსტოლოგიური კვლევის შედეგად დადგენილი, დაზუსტებული და შესწორებულია ტექსტის მრავალი ადგილი. კერძოდ, თხზულების მიხედვით ირკვევა, რომ თამარს ჰყოლია დაჲ რუსუდანი. გარკვეული და შესწორებულია, რომ „სუქმეთნი“ არა ეთნიკური სახელია, არამედ სპარსული „სუქათ“ ძირის შემცველი სიტყვა და ნიშნავს ქვეშევრდომს, უბრალო ხალხს. ტექსტში დამოწმებული ციტატები, რომლებსაც წყაროები დაეძებნება, აგრეთვე შესწორებულია.

მიმდინარე წელს კომისია შეუდგა მუშაობას „ქართლის ცხოვრების“ რუსულ გამოცემაზე. დაიწყო „ქართლის ცხოვრებაში“ შემავალი თხზულებების თარგმნა.

საანგარიშო წელს საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიამ ჩაატარა შემდეგი სამეცნიერო კონფერენციები: „ქართლის ცხოვრების“ შესწავლისა და გამოცემის აქტუალური საკითხები“ და „საქართველო და გარე სამყარო“. კონფერენციების მუშაობაში მონაწილეობდნენ ივ.ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, კ.კეკელიძის ხელნაწერთა და ივ.ჯავახი-

შვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტების მეცნიერები.

საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიამ გამოსცა აკად. რ.მეტრეველის შრომები (იხ. გვ. 152).

კომისიის სწავლული მდივანი მ.აბაშიძე მონაწილეობდა კონფერენციის „ევროპის მომავალი“ (ქ.ვენა, ავსტრია) მუშაობაში. იგი აგრძელებდა მუშაობას, აგრეთვე, INTAS-ის პროექტზე „ევროპული უსაფრთხოების იდენტურობა და კავკასია“.

საქართველოს მთიანეთის პრობლემათა კომპლექსური შესწავლის კომისიამ (თავმჯდომარე აკად. თ.ონიანი) 2007 წელს მოაწყო რამდენიმე შეხვედრა სვანეთის რეგიონის მოსახლეობასთან. მესტიაში ჩატარდა კონფერენცია თემაზე „მესტიის რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხები“.

კომისიის სპეციალური სხდომა მიეძღვნა სასმელი წყლის ხარისხის გაუმჯობესების კომპლექსურ-პრაქტიკული ღონისძიებების ფართოდ დანერგვის საკითხს, ვინაიდან მთის რეგიონებში ხშირია ჩიყვით დაავადება. დადგენილება აღნიშნულ საკითხზე გაეგზავნა საქართველოს მთავრობასა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს.

კომისიამ მოაწყო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე „საქართველოს მთიანეთი და ტურიზმის ინდუსტრია“. კონფერენციის შედეგები და კომისიის მოსაზრება მთიან რეგიონებში ტურიზმის განვითარების თაობაზე მოხსენდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმს. პრეზიდიუმის დადგენილება გაეგზავნა საქართველოს პარლამენტსა და მთავრობას.

გაიმართა საქართველოს მთიანეთის მოსახლეობის (სვანების, რაჭველების, ხევსურების, მოხევეების) შეკრება, სადაც განხილულ იქნა მთიელთა ჩვეულებების და ტრადიციების ხელშეწყობის, პრიმიტიული ეკონომი-

კური ტრადიციების, მთიელთა ურთიერთობის, რელიგიური აღმსარებლობის, შრომის ხასიათისა და მთიელთა ბუნების მიმართ დამოკიდებულების საკითხები.

მოეწყო ფართო განხილვა ადგილობრივი მოსახლეობისა და თბილისში მცხოვრებ, წარმოშობით მთიელთა შეხედულებებისა საქართველოს ტყეების გაყიდვისა თუ 40 წლით იჯარით გადაცემის თაობაზე. თათბირზე ერთსულოვნად აღინიშნა მოსახლეობის ნეგატიური დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ. თათბირის შედეგები გაეგზავნა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, საქართველოს მთავრობასა და საქართველოს პრეზიდენტს.

სისტემატურად ტარდებოდა კომისიის სხდომები, სადაც მოწვეულ სპეციალისტებთან ერთად იხილებოდა მთიანი რეგიონების დეცენტრალიზაციის, ადგილობრივ მმართველ ორგანოებთან კონტაქტში უხუცესთა საბჭოების ამოქმედების, ტრადიციული მთის სამართლის აღორძინების, თემთა საბჭოების შექმნის, სასაზღვრო ზონებში ბუნების დაცვისა და საერთო ეკოლოგიური პრობლემების საკითხები.

ზემო და ქვემო ალვანის მოსახლეობას გადაეცა წიგნი „მოგესალმებით თუშებო“ (ავტორი ბ.გოიშვილი).

კავკასიის ქვეყნებთან სამეცნიერო თანამშრომლობის კომისიამ (თავმჯდომარე აკად. წევრ-კორ. ვ.შამილაძე) გამოსცა ქ.ბათუმში 2006 წელს ჩატარებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის – „კავკასიის არქეოლოგია, ეთნოლოგია და ფოლკლორისტიკა“ მოხსენებათა კრებული.

2007 წლის 1-6 ოქტომბერს რუსეთის ფედერაციის მეცნიერებათა აკადემიის დაღესტნის სამეცნიერო ცენტრთან ერთად კომისიამ კოორდინაცია გაუწია მახაჩყალაში ჩატარებულ ტრადიციულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას – „კავკასიის არქეოლოგია, ეთნოლოგია და ფოლკლორისტიკა“. საქართველოს

მხრიდან კონფერენციას ესწრებოდნენ კომისიის თავმჯდომარე, აკად.წევრ-კორ. ვ.შამილაძე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე გ.ღამბაშიძე, ეთნოლოგი გ.ჩანტლაძე. პლენარულ სხდომაზე წაიკითხეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის აკად. თ.გამყრელიძისა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორის პროფ. დ.ლორთქიფანიძის მისალმებანი. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ქვეყნის 170-მდე სამეცნიერო მოხსენება, მათ შორის 34 – საქართველოდან. მიიღეს გადაწყვეტილება საქართველო-დაღესტნის გაერთიანებული არქეოლოგიური ექსპედიციის აღდგენის თაობაზე (დაფუძნდა 1976 წელს დაღესტნის ქრისტიანობის ისტორიისა და შუა საუკუნეთა საქართველო-დაღესტნის ისტორიულ-კულტურული ურთიერთობების შესასწავლად), X-XI სს. დათუნას ქრისტიანული ეკლესიის რესტავრაციისა და 2008 წლის სექტემბერში თბილისში კავკასიოლოგთა X საიუბილეო კონფერენციის ჩატარების შესახებ.

დაღესტნიდან ჩამოტანილია ხუნძახის რაიონში აღმოჩენილი ორი ქვის ჯვრის ქართულენოვანი დამწერლობის ფოტოსურათები.

ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკის ისტორიის საბჭო (თავმჯდომარე აკად. ბ.ბალავაძე) 2007 წელს განაგრძობდა მუშაობას ინფორმაციული განათლებისა და მეცნიერების ერთიანი მეთოდოლოგიის შემუშავების მიმართულებით. ამ საკითხებს მიეძღვნა საბჭოს წევრის აკად. მ.სალუქვაძის მიერ გამოქვეყნებული შრომა „ნებისმიერი მოვლენის მდგომარეობის შეფასების ფორმალიზაციის შესახებ“, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალში „Information Technology and Decision Making“ (აშშ).

ქ.ბოხუმში (გერმანია) გამომავალი ჟურნალის „Metalla“ ერთი ნომერი (№14.1/2, 62 გვ., ინგლისურ ენაზე) მთლიანად მიეძღვნა საბჭოს წევრის, პროფ. გ.ინანიშვი-

ლის ნაშრომს „საქართველოში რკინის წარმოების ისტორიისათვის“. მისივე და საბჭოს წევრის ქიმ.მეცნ. კანდ. რ.ჩაგუნავას ხელმძღვანელობით მომზადდა დისერტაცია თემაზე „საქართველოში სამთო-მეტალურგიული წარმოების აღორძინება XVIII საუკუნის II ნახევარში“ (დისერტანტი თ.ბაძოშვილი).

მომზადებული და გამოცემულია საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, სამთო საქმის ისტორიის ცნობილი სპეციალისტის, აწ გარდაცვლილი თეიმურაზ მუჯირის მონოგრაფიის „სამთამადნო წარმოება საქართველოში“ სასიგნალო ეგზემპლარი, რომელშიც წარმოდგენილია ევრაზიის სამთამადნო წარმოების უძველესი ძეგლები, მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია საქართველოსა და კავკასიის სამთო წარმოების კერებს.

აკად. გ.ცინცაძის, ქიმ.მეცნ.კანდ. რ.ჩაგუნავასა და ნ.მგელაძის ავტორობით გამოსაცემად მომზადებულია მონოგრაფია „შალვა ცინცაძის მეცნიერული მემკვიდრეობა“.

საბჭოს თავჯდომარის მოადგილის გ.ბაგრატიონ-ჯაფარიძის თაოსნობით დაარსდა და პრეზენტაცია გაიარა პერიოდულმა ჟურნალმა „Automotive“, რომელიც მოწოდებულია თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების გასაშუქებლად.

მომზადდა მასალები საერთაშორისო ტელეკონფერენციის – „ფიზიკის ისტორიის მეთოდოლოგია და ინფორმაციული მეცნიერება“ ჩასატარებლად, რომელიც ითვალისწინებს ტელეკონფერენციაში საერთაშორისო ექსპერტების ჩართვას.

საბჭოს წევრის, ქართული ენციკლოპედიის ი.აბაშიძის სახ. მთავარი რედაქციის ბუნებისმეტყველების რედაქციის რედაქტორის ზ.ჭელიძის თაოსნობით იგეგმება საბჭოს სამეცნიერო თანამშრომლობის განვითარება ქართულ ენციკლოპედიასთან.

პერიოდული გამოცემები. 2007 წელს გამოვიდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შემდეგი პერიოდული გამოცემები:

ჟურნალ „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბის“ (მთ. რედაქტ. აკად. თ.გამყრელიძე) ტ. 175, №№ 1, 2, 3, 4 (ინგლისურ ენაზე). 2007 წლიდან შეიცვალა ჟურნალის ფორმატი, პერიოდულობა (წელიწადში 4 ნომერი). შეიცვალა სარედაქციო კოლეგია და შეიქმნა სარედაქციო საბჭო;

„საქართველოს მათემატიკური ჟურნალის“ (მთ. რედაქტ. აკად. ი.კიღურაძე) მე-14 ტომის 4 ნომერი (ინგლისურ ენაზე). სულ გამოქვეყნდა 57 სტატია, მათ შორის 47 უცხოელი ავტორისა 28 ქვეყნიდან;

ჟურნალის „მემუარები დიფერენციალურ განტოლებებსა და მათემატიკურ ფიზიკაში“ (მთ. რედაქტ. აკად. ი.კიღურაძე) 3 ტომი: მე-40, 41-ე, 42-ე (ინგლისურ ენაზე). სულ გამოქვეყნდა 19 დიდი მოცულობის სტატია და 5 მოხსენება 9 ქვეყნიდან;

ჟურნალ „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნეს“ სერიები:

„ქიმია“ (მთ. რედაქტ. აკად. თ.ანდრონიკაშვილი). განახლებული, რეფორმირებული სამი ნომერი – №1, 2, 3. სულ გამოქვეყნდა 75 სტატია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე;

„ბიოლოგია“, სერია A (მთ. რედაქტ. აკად. ვ.ოკუჯავა), ტ. 33, №№1-6;

„ბიოლოგია“, სერია B (მთ. რედაქტ. აკად. მ.ზაალიშვილი), ტ. 5, №1, №2, №3-4 (ინგლისურ ენაზე);

„რენტგენოლოგიისა და რადიოლოგიის მაცნე“ (მთ. რედაქტ. აკად. ფ.თოდუა), №1-2(27, 28), №3-4(29, 30);

„ფილოსოფია“ (მთ. რედაქტ. ფილოს.მეცნ.დოქტ. ი.კალანდია), №1;

„ფსიქოლოგია“ (მთ. რედაქტ. აკად. შ.ნადირაშვილი), №1;

ჟურნალი „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ (მთ. რედაქტ. აკად. ვ.ჭავჭანიძე), 3 კრებული, №1-3, №4-6, №7-9. სულ გამოქვეყნდა 69 სტატია.